



ნახ. თ. თურბანიძისა

— გვეუბრა ერთი მამონტი?
— რას ამბობ, კაცო, რითა ვარ ჩემს მეზობელზე ნაკლები.
ხუთმამონტიანი ქალები რომ გადაიხადა?!



რად გამჟავებენ?

როცა სვანების სულიდან იღუმალ ამომდერდა ლილეო, ლილეო, მზემ ისმინა საგალობელი და რძისფრად გაანათა უმბიანი, თეთნულდიანი, კოშკებიანი სვანეთი.

გათენდა მესტიაში. მჟავე წყლებისაგან წყალმონყურებული ირმებივით დაიძრნენ სვანის ქალ-კაცნი. ალაგ-ალაგ გაპობილი მიწიდან მჟავე წყალი ადამიანის საამებლად შუშხუნებს. მჟავე წყალს იმდენი სამკურნალო თვისებები აქვს, რომ უდელს „ბორჯომთან“ ერთად გასწევს, მაგრამ ერთი ახირება სჭირს, უცხოობას ვერ ეგუება, მოგზაურობას პროტესტს უცხადებს, მარწუხებად შემოჭერილი ჭურჭლის კედლებს გულზე ხეთქავს. კაცია და გუნება! სვანეთის მიტოვებით ნოსტალგიას განიცდის. ამ ბოლო დროს, მესტიის მჟავე წყლებს სასარგებლო ბრძოლა გამოუცხადეს, დაბურღეს, თავისუფლება მისცეს, ასმილიმეტრიანი მილიდან გადმოადგაფუნეს. მჟავე წყალს ამგვარი უმიზნობა არ ეჭაზნიკა, მჟავე ხასიათზე დადგა: — „კუორტების ქურუმებო! მომხედეთ! ნუ მაქცევთ ასე უწყალოდო!“

კონსერვაცია

სვანეთის სილიადე, სვანეთის ბუნების მადლი-ბარაქა-სილამაზე უშბამ და თეთნულდმა ცაში აიტაცეს, მოჰფინეს ქვეყნიერებას, მოიპატივეს სტუმრები სილამაზის ხილვისათვის. მესტია-ჯვარის გზის უგზო-უკვლო მშენებლებმა კი შინაურ და გარეულ ტურისტებს სვანეთის სილვის უიმედობა დაუუფლეს. ავტოსატრანსპორტო საშინისტროს მუშაკები თავს იმართლებენ: — მანქანა ტრაქტორი არაა, იგრუნუნოს! ჰოდა, მესტიაში გრაფიკით ყოველგვარი ავტობუსით მისვლა-მოსვლა შეწყდა... თუმცა შაბათ-კვირას ზემო სვანეთში მოხალისე ტურისტები „იკაროსებით“, „უაზებით“, „ლაზებით“ და სხვა ლამაზ-ლამაზი ავტობუსებით დაგრიალდებენ. ნეტავი გაგვაგებინა, ეს ეკიპაჟები რომელ უწყებათა გარაჟებიდან არიან?!

„ოჰ, ეს ტურბაზა!..“

ტურიზმი სვანეთის დაუშრეტელი განძია. ეს ჩვენზე კარგად ტურიზმისა და ექსკურსიების საქართველოს რესპუბლიკურმა საბჭომ იცის. ამიტომაც სპორტსაზოგადოება „განთიადისგან“ 1959 წელს ესტაფეტასავით მიიღეს ტურისტული ბაზის „უშბის“ მშენებლობა, „რომელიც დღემდე მშენებარეა!“ (მესტიის მემატიაზე).

„უშბის“ შენობის არქიტექტურა არაფრით არ მიესადაგება სვანეთის კოლორიტსო. ტურისტული ბაზა „უშბა“ ვერ იტყვის,

გაჭრილი ვაშლივით ვგაჯარ მწვერვალ უშბასო. ის ჩატეხილი კიბის ასლს უფრო მიემგვანებაო, ამბობენ მესტიელები. არაკოლორიტულ არქიტექტურას კიდევ აიტანს კაცი, ხოლო გეოლოგიური პირობების გაუთვალისწინებლობა მშენებლობის დროს მიუტევებელია. არასწორმა დრენაჟმა ტურისტული ბაზის „უშბის“ შენობის პირველ-მეორე სართულებში გაჟონილი შიდა წყლებით ხელთუქმნილი, აბსტრაქციული ნაწარმოებები შექმნა.

პირველი სართულის დანქსტილი ჭერი და კედლები ფანტასტიკურ ფასკუნჯებსა და გველემაპებს გადაუყლაპიათ.

„უშბის“ მეორე სართულის „სალონები“ თანამედროვე აბსტრაქციულ რენესანსს აშუქებს. განსაკუთრებით გამოირჩევა ფილიგრანული, საშუალო გონებისათვის ადვილშესაწვდომი ფრესკა, რომელსაც „უშბის“ სატირულად უანწყობილმა თავკაცებმა „მშენებლის გონი“ უწოდეს.

„უშბის“ შენობის დანარჩენ ოთახებში მიწიდან გაჟონილი წყლისგან გამოფრესკილია უნიჭო, არაპერსპექტიული ნამუშევრები.

საერთო ჯამში მშენებლებს მესტიის ტურისტული ბაზა „უშბა“ ნესტიან-ჯანრში გადაუწყვეტიათ.

ამჟამად მიმდინარეობს „უშბის“ შენობის „სახვითი“ ხელოვნების დაცვითი სამუშაოები: ნიადაგის შიდა წყლებმა ტურისტულ ბაზის „უშბას“ მთლიანად რომ არ გამოაცალონ პირველი — მეორე სართულები, ოთახების უკან გაჭრეს სადრენაჟო არხი, რომელიც მარადჟამს შეუწყობს ხელს ტურისტების ჯანმრთელობა დამანგრეველი, მომაკვინებელი ფრესკების სიცოცხლეს.

„უშბის“ მშენებლობის უფროს-უმცროსობას სვანური კოლორიტი გასენებიათ და ნეოუგემოვნო სტილში სვანური კოშკი აუგიათ, რომლის მაყურებლებს, მესტიის ნამდვილ სვანურ კოშკებს გული უწუხთ და მიწაზე ეცემიან. აბსტრაქციული ხელოვნება მართო „უშბის“ საცხოვრებელ ოთახებში როდი შეიმჩნევა, იგი ნოვატორობას პოულობს ცალკე აშენებულ სასაბილოში. აქ აბსტრაქციული ხელოვნება ფრესკით არ კმაყოფილდება, იგი ქანდაკში გადადის. აბსტრაქციული სკულპტურიდან განსაკუთრებით გამოირჩევა განკომპლექტებული ჭურჭლის სარეცხი მანქანა. ტურისტული ბაზის „უშბის“ დაქცეულ-დანგრეული სიტუაცია მწვერვალმა უშბამ გაიუნაგირა; მუსიკენ ჩივილით წაიღო, — „ჩემი სახელი ერქვას და არ სახელობდეს“ სად გაგონილა?!

მწვერვალები ჩათანი და დალაყურა გულს უმშვიდებენ უშბას, — იქნებ ლილეომ გიშველოს, შენი სუნხის — „უშბის“ მშე-

ნებლობის ხარისხი ამაღლდეს, დროზე და მთავრდეს და გამშვენირდეს მისი გზო-ყურე.

მოკითხვები


დავუშვათ, რომ მოწესრიგდა გზები, ტრანსპორტი, მესტიის რაიონს საექსპლოატაციოდ გადაეცა ტურბაზა „უშბა“, იგი მაინც ვერ მიიღებს მთლიანი დატვირთვით ტურისტებს, რადგანაც მესტიის რაიონის პურის საცხობს დაბალი მწარმოებლობა აქვს და ვერ მოამარაგებს მათ საჭირო რაოდენობის გამომცხვარი პური. რაკი მომარაგებაზე ჩამოვარდა ლაპარაკი, ზუგდიდის ცეკავშირის ბაზას გავცხმინით, რატომ უხლართავენ კარგი საქონლის გაგზავნის გზებს საქართველოს ამ უმშვენიერეს კუთხეს? ახლა არ იკითხოთ, რომელი საქონლისო, ეგ თქვენ ჩვენზე კარგად იცით!

თუმცა... ჩვენც ვიცით!


კოტანდილ აღივხილი

ნახ. 3. ლოგიკისა

წყნეთის მოძველებული, ცამეტშაპიანი აბანო დამსვენებელთა მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს, ზაფხულის სეზონში ამ აგარაჟე 20 ათასამდე კაცისვენებს.



წყნეთური ხორუმი



ნახ. მ. აბაშიძის

შენ რომ მანქანა მიყიდე,
დავწყვილი იმ დღეს ნამდვილად...
ყველაფერი რომ მეგონა
დამთავრებულად, ადვილად, —

— კლავთ, რაიმე კარგს არიბევენ, რიგი დავიკავოთ!
— ქალო, ინსტიტუტი, მაღაზია ხომ არ გმონია?!

თურმე მის მერე ყოფილა
ფული სახვეჭი, სამკალი! —
თუ ამას ტყუილს ვამბობდე,
შენივე ხელით დამკალი!

ჩემნაირს შეგვხვდი საქესთან,
ცოტა „ვაკოცე“, „მაკოცა“.
წამსვე წესრიგის დამცველთა
არმია გაჩნდა ახლოსა.

„პრავა“ წამართვეს, შეგწუხდი,
არ მქონდა ამის პრაქტიკა,
ცალკედ მივედი, ორ ყბაში
ჩამიდგო „პროფილაქტიკამ“.

ორ კვირას ვდიე ხელოსანს
ლონჯერონსა და მაყურზე,
„კაცური“ გული მიჩვენა,
საქმე რომ მიდგა „მაყუთზე“.

„გამოცვლა-გაჭრის“ „ნარიადს“
თანვე მომიტან, წესია,
„მავანმა“ რომ შემამოწმოს,
უჩვენო განაწესია!

შეღებვის, „შაკლის“ ამბავზე
ელაპარაკე „მალიარს“,
მალე გაგიშვებს, „ხელის კუჭყს“
თუ დაანახებ გვარიანს!

უკანა ხიდან მუხრუჭი
შეუჭამია საცვეთებს,
ეს „რულევი კალონკაც“
ყოველდღე შხამებს მაწვეთებს.

არ გავაკეთო, ხვალზევით
უფრო უარესს მოველი;
ზღაპრულ თანხებზე ავიდა,
რაც ჩამოვთვალე ყოველი.



ყველაფერს როცა მოვჩქები,
მანქანა მიმყავს „ტეოზე“.
მოკლედ რომ გითხრა, ჩიხში ვარ,
ძალიდ ვგდივარ თეოზე.




ტოლი არ მყავდა, კი გახსოვს,
მათემატიკურ ცნებაში,
მაგრამ ახლა კი ვიჭრები
მიმატებ-გამოკლებაში.




წერილით ბევრს ვერ ვიამბობ,
მნახავ და თვით დარწმუნდები!
ჩამოდი, სანამ ფიქრებში,
ჩიტვივით გამოვხუნდები!

პაპა ჩორდელი

საჩინსი-76

წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა სათო-
ფეზე არ ვეკარებოდით სამამულო წარმოების
საქონელს. იმპორტულის ძებნაში ენაგაღმოგ-
დებულები. მამასისხლად ვიძენდით გადაწყვი-
დვებისაგან მაღალხარისხიან უცხოურ ფეხ-
საცმელს, პალტოს, ლაბადას, კაბასა და სხვ.

ახლა? ჰმ! ახლა მიბრძანდით ნებისმიერ
პლაზიაში! რა გინდა, სულო და გულო, რომ
არ აწყვიტო ვიტრინებში, დახლებზე (დახლებზე-
შაც!). ყველაფერი ეს სამამულო, ჩვენი რეს-
პუბლიკის სხვადასხვა საწარმოს მიერ გამოშვე-
ბული პროდუქტია. ვისლა ახსოვს იმპორტუ-
ლი (იმპორტულს ახლა მხოლოდ „უეუეჩეებს“
ქიღულთბენ), მაგრამ...

ჯერ კიდევ არსებობს ეს „მაგრამ“ და სანამ
იარსებებს, მანამ სიტყვა „წუნი“ ისტორიას არ
ჩაბარდება, როგორც წარსულის გადმონაშთი.

ამას წინათ უნივერსალ „თბილისს“ ვეწვიეთ.
დაწუნებულ საქონელში ქურჭი ვნახეთ. ერთი
შეხვედით ქურჭს ვერაფერს დაუწუნებდით,
მაგრამ საყელო ისე იყო ძაღლის კუდივით
დაგრეხილი, რომ ვერა და ვერ მოვახერხეთ
მისი გასწორება (ამაზე თუ ამბობენ, ძაღლის
კუდს რა გაასწორებსო...) ქურჭი თბილისის
ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრი-
კაში შეეკერათ და 340 მანეთი ღირდა.

უარეს მდგომარეობაში აღმოჩნდა ქუთაისის
კირთვის სახელობის სამკერვალო საწარმოო
გაერთიანების მიერ გამოშვებული ქალის ლა-
ბადა, იმის გარდა, რომ წყალგაუმტარი იყო,
სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი ღირსებაც
გააჩნდა, „მკლავგაუმტარიც“ იყო, გულითაც
რომ მოგეწადინებინათ, გაკერილ სახელოში
ხელს ვერ გაუყრიდით.

ასევე „მკლავგაუმტარი“ გამოდგა თბილისის
პარველი მაისის სახელობის სამკერვალო ფა-
ბრიკაში შეკერილი წყალგაუმტარი ლაბადა.

თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკა „ნარიყა-
ლას“ მიერ გამოშვებულ მამაკაცის ზოგიერთი
მოდელის ფეხსაცმელზე ვერ ვიტყვი „ფეხ-
გაუმტარი“ არისო, სამაგიეროდ ფეხსაცმელი
ქუჩაში ერთი ორჯერ გამოსვლის შემდეგ წვი-
მა-ტალახ-თოვლაგამტარი ხდება.

ერთი ბრძნული ანდაზა დალადებს: ლიტრას
ეუბნებოდნენ და, კოკავ, შენ გაიგონეო! იმე-
დია, რესპუბლიკის ყველა საწარმო მიიღებს
შედეგობაში შემოთქმულს და უფრო გუ-
ლისყურით მოეციდება ხარისხის საქმეს, მით
უქეტეს ახლა, როცა ხარისხის ხუთწლედი ძა-
ლაშია!

თამაზ შვივილი



სახვარეულო

საქართველო
საზოგადოებრივი

კპირბ დილით სარდიონს ცოლმა ასეთი ულტიმატუმი წამოუყენა:

— დღეს შენ წაბრძანდები, ვაჟბატონო, და საიდანაც გინდა იქიდან მოუტან შენს უქნარა შვილებს საჭმელს!

ეს ისეთი ტონით იყო ნათქვამი, რომ რაიმე დათმობაზე, ან აზრის შეცვლაზე დაპარაკიც შეუძლებელი იყო. მაგრამ სარდიონმა მაინც სცადა კარსდაშორებული ბედი:

— დღეს მე სულ სხვა გეგმები მქონდა...

— არ ვიცი! — ახლა კი იჭექა მეორე ნახევარმა. — მომკლა ამათ ჭამა-სმაზე ფიქრმა. მზითევში კი არ მომყოლიანი! — მან რაღაც სია შეაჩერა ხელში და უფრო „მეცნიერულ“ დასაბუთებას მოჰყვა. — სხვათა შორის მამალი ფრინველიც კი... — ცოლმა აქ დაკვირვებით შეათვალიერა სარდიონი თუ რომელ ფრინველს გავდა და აზრი დააგვირგვინა. — დიახ, ბედურაც კი კვებავს თავის ღლაპებს!

„მამალმა ბედურამ“ არჩია ეს სასამო უღურტული აღარ გაგრძელებულიყო, სია ჭიბეში ჩაიჭურთა და პროტესტის ნიშნად კარი გაიჭახუნა.

ჭურჭში გამოსულმა სარდიონმა ჭერ სიგარეტის საყიდლად გასწია, რათა დაბოლოებულ გულზე გაებოღებინა.

— ერთი „ლუქსი“ მომეცით! — მანეთიანი გაუწოდა მან გაუპარსავ გამყიდველს. ხურდა სამოცი კაპიკი დაუბრუნეს.

— ეს რაა? «ლუქსი» 40 კაპიკი გახდა? გამყიდველმა ცბიერი დიდვაჭრის ფოლორცით შეხედა.

— ვაჰ, ჭერ სახელი ნახე „ლუქსი“! ცოლო არ არის ეს 80 კაპიკად გავყიდი? — გაიღრიჭა იგი.

— „ჰოო, ლუქსი, (დე ლაქს), ფრანგული სიტყვაა და ფუფუნებას ნიშნავს. რაკი სიგარეტს ფუფუნების საგნად უიღის, მეტი რა გზაა!“ — უსიტყვოდ დაიმშვიდა გული სარდიონმა, — „კაცს ფრანგული სცოდნია...“

გი თავისდა უნებურად, როგორც მის ყოველ დილის „მარშრუტს“ შეეფერებოდა, ახლა გაზეთების ჭიხურისაკენ წავიდა. ნაირ-ნაირი უურნალებით აქრელებული ჭიხური შეათვალიერა და არც დაფიქრებულა, ისე ჩამოთვალა გაზეთები:

— „კომუნისტი“, „სოფელი“, „ლელო“. — გაზეთების გამყიდველმა ისე პროფესიულად ჩააგლო იპოლიტეს ორშაურაინი თუნუქის ყუთში, რომ ზედაც არ დაუხედავს.

როგორ გინდა ახლა დაუმტკიცო, რომ ათკაპიკიანი მიეცი და არა ხუთი?

გუნებაგაფუჭებული სარდიონი გასტრონომიულ მაღაზიაში შევიდა. ჭიბიდან სია ამოიღო და ცოლის მიერ დასახული გეგმის შესრულებას შეუდგა.

2 ცალ 18-კაპიკიან ფუნთუშაში 80 კაპიკი ააფტკვეს.

72-კაპიკიან კარაჭში 75 კაპიკი გამოუღდებებს...

26-კაპიკიან ხაჭოში 80 კაპიკი აუჭრეს ძველი რძესავით.

86-კაპიკიან არაქანში — 40 კაპიკი...

92-კაპიკიან ფქვილში — 1 მანეთი!

სარდიონი აქარხლებული გამოვარდა მაღაზიიდან, სიბრაზისაგან და წყენისაგან მთელი სხეული უხურდა, იქვე, მაღაზიის გვერდით, ნაყინს უიღდა საეჭვო სითეთრის ხალათში და ქუდში გამოწყობილი კაცი... სარდიონი მისკენ გაეშურა და გულის გასაგრილებლად ნაყინი გამოართვა.

28-კაპიკიან ნაყინში 80 კაპიკი ისე გულცავად დაუცურეს, თითქოს ეს ასე უნდა ყოფილიყო.

სარდიონმა ახლა კი ვეღარ მოითმინა:

— დამიბრუნეთ ახლავე ხურდა! — კატეგორიულად განაცხადა მან. — ნამუსი აღარა გაქვთ და ესა!

— ვაჰ! — ისე გაუკვირდა გამყიდველს, თითქოს ამ გაგანა სიცხეში ზეციდან თოვლი დასცემოდეს, — სლუში, სტოლკო ხადიტკრიჩიტ „მეროუნი, მეროუნი“, ტი დვა კაპიკ ნე ხოჩეშ პლატიტი?! — ლაყე კვერცხივით დაამტვრია თავზე რუსული ნაყინის გამყიდველმა.

სარდიონმა რაღაც უცნაურად იგრძნო თავი, მუხლები მოეღვენთა, თავბრუ დაეხვა, უცებ თვალწინ გაუღვდა ბავშვობის სურათებმა...

...მათ ჭურჩაზე ერთი მეწვრილმანე დადიოდა. გადმობრუნებულ არფასავით ყუთი ეკიდა მხარილივ ბრტყელი შავი ქაპრით. რა აღარ ჰქონდა იმ ყუთში: ნემსი, ძაფი, ღილი, სათითე. ქრელქრულა ბავთები... თუ ვინმე რამეს იყიდიდა მისგან, ერთ ცალ დილს თუ ნემსს

ისე, თავის ხარჭში გაატანდა, ფეშქეშად, როგორც კარგ მუშტარს... ხურდაზე ხომ ლაპარაკიც შეუძლებელი იყო, სულ კაპიკ-კაპიკ ჩაუთვლიდა. მეწვრილმანე კი ერქვა...

რამდენიმე ხნის შემდეგ სასწრაფო დახმარების მანქანა სირენას კვიცილით მიაქანებდა სარდიონს საავადმყოფოში.

შემთხვევის ადგილას შეკრებილი კარის თუ გვერდითა საღარბაზოს მეზობლები ცდილობდნენ დაეკმაყოფილებინათ ებადლებული ცნობისმოყვარეობა.

— რა თქვა ექიმმა, ინფარქტიაო?


— გავსო...

— რაზე დამართა, ბედურასავით წყნარი კაცი იყო...

— რა ვიცი, ჭერ ჩვენს გასტრონომში უჩხუბია, ხურდა დამიბრუნეთო, ერთგან, მეორეგან და ხომ იცი კაცის გული?!

— კაი მეწვრილმანე ყოფილა!

ზურღან ყორღანაშვილი.



სახვარეულო
სურდ მანე

სალამის, მაღაზიის დაეკტვას ძლივს მივესწარი. ერთი ბოთლი კონიაკი მოვიტხოვე და ფული მივაწოდე გამყიდველს!

— თქვენი ჭალარა რომ არა, ვერ ვიკისრებდი... — მიხარა გამყიდველმა. კონიაკი გამიხვია სველ ჭალალდში, როგორც ძეხვი და მოპარულივით მომაჩეჩა ხელში. ისე დავიბენი, ხურდაც კი ვერ გამოვართვი და უკან გამოვბრუნდი.

მას შემდეგ სულ ვფიქრობ — რატომ მოიტქა ასე? ანდა, რა შუაში იყო ჩემი ჭალარა? ან რატომ დამავიწყდა ხურდის გამოართმევა?

უკონღუპტორი ავტობუსის მძღოლს ხუთკაპიკიანი მივაწოდე (ბილეთი არ მომცა). კიდეც ხომ არავინ ჩადისო, ჩასძახა მიკროფონში და დაძრა მანქანა. მე ორი გაჩერების შემდეგ ჩავდიოდი.



ტაქსის მძღოლმა, რომელსაც ათი კაპიკით მეტი გადაუხადე, ისეთი სისწრაფით დაძრა მანქანა, რომ საბურავებზე რაც ტალახი ჰქონდა, სულ სახეში შემომაყარა. მეტი უნდა მიმეცა?!

ნუ მისცემთ ზედმეტსო... მაშინ, ალბათ, სიჩქარეებიც შეეშლება და წინას მაგვირად უკანსვლას ჩართავს. მერე ჩემზე იტყვიან — ძუნწობის მსხვერპლი ვახდლო.

ჩვენს სპორტის სასახლეში პოკეის რატომ არ თამაშობენ?

— ჰკითხე მის ამშენებელს და გეტყვის! — რას მეტყვის? — რა უნდა გითხრას!..

თამაზ კალანდარიშვილი



ნ.ბ. ა. მამალელიშვილი

ამერიკის შეერთებული შტატების სენატის საგარეო საქმეთა კომისიამ მოიწონა ე. წ. შეთანხმება ურთიერთთანამშრომლობის შესახებ ესპანეთთან. შეთანხმება მოიწონეს კიდევ და ხელიც მოაწერეს მიმდინარე წლის იანვარში. (სანტა კლარას ეს „საჩუქარი“ ამერიკელი ხალხისათვის, საფიქრებელია, გათვალისწინებული ჰქონდა.) ამ დოკუმენტის საფუძველზე ესპანეთი ვალდებული იქნება იღებს თავის ტერიტორიაზე დატოვოს აშშ-ის სამხედრო სამაგრო ძალების სამი და საზღვაო ძალების ერთი ბაზა. სამაგროდ ვაშინგტონი ხუთი წლის ვადით გულუხვად სთავაზობს მადრიდს 1.250 მლნ დოლარის სამხედრო აღჭურვილობას.

ამერიკის ბაზების დატოვება ესპანეთში ესპანეთისა და ვაშინგტონის მილიტარისტული წრეების ინტერესებს ემსახურება. ეს ორი ბატონის მსახური პირინეებში მეტად სერიოზულ როლს თამაშობს აშშ-ის სამხედრო-სტრატეგიული გეგმების განხორციელებაში ხმელთაშუა ზღვაზე. ამას უყურებენ როგორც ნატო-სა და ესპანეთის შემაერთებელ რგოლს.

„თუ ამ საკითხს სამხედრო თვალსაზრისით მივუდგებით“, — აღნიშნა ნატოს მთავარსარდალმა, ამერიკელმა გენერალმა ჰეიგმა, — „ესპანეთს უკავია ის პოზიცია, რომელსაც ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს ამერიკის შეერთებული შტატებისათვის და საერთოდ ჩრდილო ატლანტიკური ბლოკისათვის“.

ძალიან გულახდილი აღიარება! ძველი რეჟიმის მომხრენი კი ამ ბაზებში ხედავენ საიმედო დასაყრდენს ესპანელ მშრომელთა თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის ბრძოლის წინააღმდეგ.

ამერიკა-ესპანეთის შეთანხმება ხელს აძლევს პენტაგონს, რომელიც დიდი ხანია ელოდებოდა იმ აზრს, რომ ესპანეთი შეიყვანონ ჩრდილო ატლანტიკის კავშირში.

„ეს შეთანხმება კონკრეტულად უზრუნველყოფს ესპანეთის ნატო-ში შესვლას“, — პირდაპირ, ყოველგვარი ორაზროვნების გარეშე განაცხადა ამ შეთანხმებისათვის ესპანეთში ჩასული ამერიკელი დელეგაციის ხელმძღვანელმა, სენატორმა მაკლოსკიმ. მადრიდთან სამხედრო ურთიერთობის განმტკიცებით, აშშ ამავე დროს ზემოქმედებს ახდენს თავის პარტნიორებზე ნატო-ში, იმ მიზნით, რომ უფრო დამთმობნი გახადოს ისინი. ზოგიერთა ცნობებით, სახელმწიფო დეპარტამენტმა აშშ-ს და დასავლეთ ევროპის ქვეყნების ელჩებს გაუგზავნა გეგმა, თუ როგორ უნდა მოხდეს მადრიდის ჩაბმა ნატო-ში. ეს საკითხი ოსლოში ახლახან დამთავრებული სესიის კულუარებშიც განიხილეს.

აშშ-ის მადრიდული პოლიტიკა უკმაყოფილებას იწვევს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. მათ შორის თვით ამერიკაში მრავალნი თვლიან, რომ ესპანეთის რეაქციული წრეების მხარდაჭერით, ვაშინგტონი კრიტიკის ქარცეცხლში მოიქცევეს თავს. ისეთი გავლენიანი გაზეთი, როგორც „ნიუ-იორკ ტაიმსი“, უკმაყოფილებას გამოთქვამს სენატის ამ გადაწყვეტილების გამო. გაზეთი ეკვივის თვალთ უყურებს იმ რეჟიმის მხარდაჭერის კეთილგონიერებას, რომელიც მიდის ქვეყნის „შემდგომი პოლიტიკური პოლარიზაციით, ოცნებებს უტრუებს დემოკრატიულ ძალებს და ახდენს იმედების კატასტროფას“.

ამერიკა-ესპანეთის შეთანხმება არ ემსახურება მშვიდობის საქმეს ევროპაში.

ესპანურ ბუღას ცხვირში რგოლს უყრიან და ისიც რქებდახრილი მიყვება პენტაგონის ნებას.

ზ. ზ. ლი



ჯიუტი კურსით



სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში გამეფებულ რასისტული რეჟიმის წინააღმდეგ მძლავრი საპროტესტო დემონსტრაციები გაიმართა იოჰანესბურგის მახლობლად — სოუეტოში. აფრიკული მოსახლეობის უზარმაზარი გეტოს ათი ათასობით მცხოვრებნი გამოვიდნენ ქუჩებში ლოზუნგებით, მოითხოვდნენ რასობრივი დისკრიმინაციისა და აპარტეიდის რეჟიმის ლიკვიდაციას. რასისტულმა ხელისუფლებამ სოსლში ჩაახშო მშვიდობიან მცხოვრებთა დემონსტრაცია.

581
23.11.76